ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით შარაშიძეს

მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2026 წლის 1 თებერვლიდან მშენებლობის ნებართვის/მშენებლობის შეტყობინების თაობაზე განცხადების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების წესი იცვლება. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებისას და ნებართვის გაცემის მიზნით გამოიყენოს მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფისა და მართვის ავტომატური საშუალებები. მშენებლობის ნებართვა/მშენებლობის შეტყობინება (მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სტადიის თაობაზე გადაწყვეტილება) გაიცემა მართვის ავტომატური საშუალების გამოყენებით და ქვეყნდება საჯაროდ შესაბამის პორტალზე. პორტალის მეშვეობით ნებართვის გაცემა არ საჭიროებს მშენებლობის სანებართვო მოწმობის ცალკე დოკუმენტად წარმოებას, რადგან პროგრამულად ხდება სამართლებრივი აქტების და ყველა იმ დოკუმენტის გენერირება, რომელიც მშენებლობის ნებართვის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში იქმნება.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი თეკლა ჯიბუტი.

მუნიციპალიტეტის მერი: **მინდია ჟღერია**

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად
საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.
2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: თეკლა ჯიბუტი

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ - საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N39 დადგენილება (სარეგისტრაციო კოდი: 330130000.35.114.016220, www.matsne.gov.ge 30/09/2014).

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი: თეკლა ჯიბუტი

ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი დ ა ს კ ვ ნ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*